ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6523296

ნომერი: AR1966919

თარიღი : 17.05.2023

გაცემის თარიღი : 22.06.2023

გაცნობის თარიღი : 22.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი ორთოიძე პ/ნ 01611104634
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 16, ბინა 65

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 17 მაისს №AR1966919 განცხადებით მომართა თამარი ორთოიძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 21

იანვრის №4342657 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანებით №01.14.03.042.126 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ამბულატორიის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო სამსახურის 2019 წლის 12 თებერვლის №4371939 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 12 თებერვლიდან 2019 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად 1353.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1340.8 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 529.1 კვ.მ-ის ნაცვლად 535.3 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1394.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1235.1 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 326.1 კვ.მ-ის ნაცვლად 430.8 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1540.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1524.3 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 6019.8 კვ.მ-ის ნაცვლად 5943.7 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აგრეთვე, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 1340.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 535.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1235.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 430.8 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1524.3 კვ.მ., საერთო ფართობად - 5943.7 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 იანვრის №4342657 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.